



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების
შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ
წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები
(ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

11.01.2022



დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

ექსპერტი

სახელი: შალვა

გვარი: კელეპტრიშვილი



ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ¹	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
2	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
3	კვალიფიკაციის დონე ²	მეექვსე
4	კვალიფიკაციის დასახელება	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების ბაკალავრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითებით ³	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) ⁴	0532 Earth sciences დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები
7	სწავლების ენა	ქართული
8	ECTS კრედიტების რაოდენობა	240
9	განხორციელების ადგილი ⁵	საქართველო, ქ. თბილისი
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს	აკრედიტებული;

¹დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს

² ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

³მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

⁴განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

⁵ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი



	ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2021 წლის 9 ივნისის №544217 გადაწყვეტილება
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 9 ივნისი
12	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	09.12.2021
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	09.06.2028

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			



შესასრულებელი რეკომენდაციები⁶

1. სასწავლო კურსს „საბაკალავრო ნაშრომი“ დაემატოს დაშვების წინაპირობები, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებიდან;
2. შეიცვალოს სემესტრულ სარეკომენდაციო გეგმის VII და VIII სემესტრის ჩანაწერი: კურსი/კურსები არჩევითი ან ტექნოლოგიური ბლოკიდან 6 კრედიტიანი. დაზუსტდეს შემდეგი რედაქციით: კურსი/ კურსები არჩევითი ან ტექნოლოგიური ბლოკიდან 6 კრედიტი;
3. სასწავლო კურსებში „ლიტერატურული მეხსიერება“, „ბავშვთა დაცვის პოლიტიკა“, „გერმანულენოვანი ლიტერატურა“, „აკადემიური მუშაობის ტექნიკები“ სწავლის შედეგები გაიწეროს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად;
4. სასწავლო კურსებში შედეგები ისე უნდა გაიწეროს, რომ შესაძლებელი იყოს აღწერილ მოქმედებაზე დაკვირვება, გაზომვა;
5. სასწავლო კურსში „სტრატეგიაფიისა და გეოქრონოლოგიის საფუძვლები“ სავლელ სამუშაო შეიცვალოს პრაქტიკულით და გაიწეროს მისი თემატიკა;
6. იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც ინტეგრირებულია პრაქტიკები, გაიზარდოს პრაქტიკის საათების რაოდენობა;
7. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში „მინერალოგიისა და გეოქიმიის საფუძვლები“ და „დედამიწის ქერქის ქანები“ გაიზარდოს პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების საათების რაოდენობა;
8. რეკომენდირებულია დამსაქმებლებთან/პარტნიორებთან ისეთი მემორანდუმების/ხელშეკრულებების გაფორმება/განახლება, რომელიც გაითვალისწინებს პრაქტიკის მიზანს/ებს, პრაქტიკის ხანგრძლივობას და სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას;
9. სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები უფრო დეტალიზებული და გამჭვირვალე გახდეს;
10. სილაბუსებში მკაფიოდ გაიწეროს მიმდინარე შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები;
11. რეკომენდირებულია პროგრამის სილაბუსებში აისახოს რა ვადაში შეუძლია სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლა FX-ის მიღების შემთხვევაში;
12. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

⁶საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით



საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁷

ილიას სახელობის უნივერსიტეტის „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2021 წლის 9 ივნისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით უნივერსიტეტს იმავე საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განესაზღვრა 2021 წლის 9 დეკემბერი. დასტურდება, რომ უნივერსიტეტს ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით ვადის დაცვით აქვს წარმოდგენილი.

ანგარიშის მიხედვით ირკვევა, რომ საბჭოს რეკომენდაციების შესწავლის მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც განიხილა „დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ საბაკალავრო პროგრამის მიმართ დადგენილი რეკომენდაციები. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა იყო შემდეგნაირი: არჩილ მაღალაშვილი - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი; ზურაბ ჯავახიშვილი - პროფესორი; მიხეილ ელაშვილი - პროფესორი; თეა გოდოლაძე - პროფესორი; ნინო ჟვანია - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; ელენე ჟურავლიოვა - ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მარიკა ნინიძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტის მიერ საბჭოს რეკომენდაციების მეტწილად შესრულდა.

⁷საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



რჩევები⁸

1. სასწავლო კურსის სილაბუსებში აღმოიფხვრას ტექნიკური ხასიათის შეცდომები და შეივსოს ინფორმაცია სრულყოფილად;
2. სასურველია პროგრამაში ჩანდეს ინგლისური ენის გარდა სტუდენტებისათვის სხვა ენების შეთავაზების შესაძლებლობა;
3. სასურველია გასწორდეს სასწავლო კურსების დედამიწა-შესავალი გეოლოგიაში I და დედამიწა-შესავალი გეოლოგიაში II სალექციო თემატიკების შინაარსი;
4. სასურველია, იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც ტარდება ლაბორატორიული სამუშაოები დაპრაქტიკები ცალკე საკითხად გაიწეროს უსაფრთხოების წესები და ნორმები, საწარმოო სანიტარიის, უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნები;
5. გასწორდეს სასწავლო კურსების სილაბუსების შეფასების სისტემაში მიმდინარე შეფასების და დასკვნითი გამოცდის მინიმალური დადებითი ქულების ჯამი, რაც საჭირო იქნება სტუდენტის დამატებით გამოცდაზე გასასვლელად (FX);
6. სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსებში თითოეული აქტივობის შეფასების ქულების ხვედრითი წონა;
7. სასურველია უფრო აქტიურად ჩატარდეს საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან და გაიზარდოს მათი ინფორმირებულობა პროგრამის მიერ შეთავაზებული შესაძლებლობების შესახებ;
8. სასურველია პროგრამა იყენებდეს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას სხვა უსდ-ებში დასაქმებული კოლეგების მიერ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია⁹

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ანგარიში არ შეიცავს ინფორმაციას რჩევების გათვალისწინების შესახებ, რაც სავალდებულო მოთხოვნას არ წარმოადგენს.

⁸საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

⁹საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.



დამატებითი ინფორმაცია¹⁰

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ არ მომხდარა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ¹¹

სტანდარტის დასახელება ¹²	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება ¹³	2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია I ¹⁴	სასწავლო კურსს „საბაკალავრო ნაშრომი“ დაემატოს დაშვების წინაპირობები, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებიდან;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსს „საბაკალავრო ნაშრომი“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული ქონდა მხოლოდ სასწავლო კურსი „აკადემიური მუშაობის ტექნიკები“. რეკომენდაციების შესრულების შედეგად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაშვების წინაპირობებში დაემატა სასწავლო კურსები ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსებიდან, კერძოდ: „გეოსაინფორმაციო სისტემების და დისტანციური ზონდირების საფუძვლები“; „ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო-გეოლოგიის საფუძვლები“; „სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიის საფუძვლები“.
რჩევა ¹⁵	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • სასწავლო პროგრამის კურსების კატალოგი • საბაკალავრო ნაშრომის კონცეფცია

¹⁰საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

¹¹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

¹²სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹³კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

¹⁴საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁵ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
რეკომენდაცია II ¹⁶	შეიცვალოს სემესტრულ სარეკომენდაციო გეგმის VII და VIII სემესტრის ჩანაწერი: კურსი/ კურსები არჩევითი ან ტექნოლოგიური ბლოკიდან 6 კრედიტიანი. დაზუსტდეს შემდეგი რედაქციით: კურსი/ კურსები არჩევითი ან ტექნოლოგიური ბლოკიდან 6 კრედიტი;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. აკრედიტაციის დროს წარმოდგენილ სემესტრულ სარეკომენდაციო გეგმაში VII და VIII სემესტრის ჩანაწერებში ეწერა: კურსი/ კურსები არჩევითი ან ტექნოლოგიური ბლოკიდან 6 კრედიტიანი. ასეთი ჩანაწერების არსებობა ბლოკავდა ორი 3 კრედიტიანი სასწავლო კურსის გავლას არჩევითი ან ტექნოლოგიური ბლოკიდან (ფილაქანთა ტექტონიკა და სეისმოლოგიური დაკვირვების პრაქტიკული კურსი). ჩანაწერი ჩასწორდა შემდეგი რედაქციით - კურსი/ კურსები არჩევითი ან ტექნოლოგიური ბლოკიდან 6 კრედიტი.
რჩევა ¹⁷ II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • სემესტრული სარეკომენდაციო გეგმა

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3 სასწავლო კურსი
რეკომენდაცია III ¹⁸	სასწავლო კურსებში „ლიტერატურული მეხსიერება“, „ბავშვთა დაცვის პოლიტიკა“, „გერმანულენოვანი ლიტერატურა“, „აკადემიური მუშაობის ტექნიკები“ სწავლის შედეგები გაიწეროს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სასწავლო კურსების

¹⁶საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁷საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

¹⁸საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	„ლიტერატურული მეხსიერება“, „ბავშვთა დაცვის პოლიტიკა“, „გერმანულენოვანი ლიტერატურა“, „აკადემიური მუშაობის ტექნიკები“ სწავლის შედეგები გაწერილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად (ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა).
რჩევა ¹⁹ II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	სასწავლო კურსების სილაბუსები: <ul style="list-style-type: none"> • „ლიტერატურული მეხსიერება“, • „ბავშვთა დაცვის პოლიტიკა“, • „გერმანულენოვანი ლიტერატურა“, • „აკადემიური მუშაობის ტექნიკები“.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3 სასწავლო კურსი
რეკომენდაცია IV ²⁰	სასწავლო კურსებში შედეგები ისე უნდა გაიწეროს, რომ შესაძლებელი იყოს აღწერილ მოქმედებაზე დაკვირვება, გაზომვა;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებით დასტურდება, რომ მათში სწავლის შედეგები დაკორექტირებულია, ადარ გვხვდება ისეთი სწავლის შედეგები, რომლითაც შეუძლებელი იქნება მათზე დაკვირვება, გაზომვა (მაგ. სტუდენტს აქვს ფართო ცოდნა იცის აცნობიერებს იცნობს შეუძლია შეძლებს შეეძლება). შესაბამისად ვთვლით, რომ უნივერსიტეტის მხრიდან რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა ²¹ II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> • სასწავლო კურსების სილაბუსები

¹⁹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁰საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²¹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3 სასწავლო კურსი
რეკომენდაცია V ²²	სასწავლო კურსში „სტრატეგიათა და გეოქრონოლოგიის საფუძვლები“ სავსე სამუშაო შეიცვალოს პრაქტიკულით და გაიწეროს მისი თემატიკა;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით სასწავლო კურსის „სტრატეგიათა და გეოქრონოლოგიის საფუძვლები“ სწავლის შედეგში წერია: ხელმძღვანელის მითითების შესაბამისად შეადგინოს ლითო- და ბიოსტრატეგიათა ფილი ჭრილები, მოახდინოს მათი კორელაცია და ააგოს გეოლოგიური რუკები. ამ შედეგზე სტუდენტი ვერ გავა სავსე სამუშაოზე, თუ მას არ აქვს პრაქტიკული ამოცანები შესრულებული, ამიტომ სავსე სამუშაოების საათები დაეთმოს პრაქტიკული სამუშაოების/ამოცანების შესრულებას. წარმოდგენილ სასწავლო კურსში ამოღებულია სავსე სამუშაოს საათები და რეკომენდაციის მიხედვით გადანაწილდა პრაქტიკულ სამუშაოზე, ასევე სილაბუსში გაწერილია მისი თემატიკა.
რჩევა ²³ II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> სასწავლო კურსის “სტრატეგიათა და გეოქრონოლოგიის საფუძვლები“ სილაბუსი.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3 სასწავლო კურსი
რეკომენდაცია VI ²⁴	იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც ინტეგრირებულია პრაქტიკები, გაიზარდოს პრაქტიკის საათების რაოდენობა;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია ნაწილობრივ. საგანმანათლებლო პროგრამაში რიგ სასწავლო კურსებში (დედამიწა-შესავალი გეოლოგიაში I, დედამიწა-შესავალი გეოლოგიაში II, დედამიწის ქერქის ქანები, სტრუქტურული გეოლოგია, სტრატეგიათა და

²²საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

²³საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁴საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	გეოქრონოლოგიის საფუძვლები, გარემოსდაცვითი კვლევები, საძიებო და გამოყენებითი გეოფიზიკის საფუძვლები) ინტეგრირებულია საველე პრაქტიკა. თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილ სასწავლო კურსებში საველე პრაქტიკის საათები მომტებულია მხოლოდ კურსში „დედამიწის ქერქის ქანები“. სასწავლო კურსში სტრატეგრაფიის და გეოქრონოლოგიის საფუძვლები“ რეკომენდაციის საფუძველზე საველე პრაქტიკა შეიცვალა პრაქტიკული მეცადინეობით. დანარჩენ სასწავლო კურსებში საათები გაეზარდა არა სასწავლო პრაქტიკის კომპონენტს, არამედ პრაქტიკულ და ლაბორატორიულ სამუშაოებს.
რჩევა ²⁵ II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	სასწავლო კურსების სილაბუსები („დედამიწა-შესავალი გეოლოგიაში I“; „დედამიწა-შესავალი გეოლოგიაში II“; „დედამიწის ქერქის ქანები“; „სტრუქტურული გეოლოგია“; „სტრატეგრაფიისა და გეოქრონოლოგიის საფუძვლები“; „გარემოსდაცვითი კვლევები“; „საძიებო და გამოყენებითი გეოფიზიკის საფუძვლები“.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.3 სასწავლო კურსი
რეკომენდაცია VII ²⁶	რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში „მინერალოგიისა და გეოქიმიის საფუძვლები“ და „დედამიწის ქერქის ქანები“ გაიზარდოს პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების საათების რაოდენობა;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია ნაწილობრივ. სასწავლო კურსში „მინერალოგიისა და გეოქიმიის საფუძვლები“ ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებული იყო პრაქტიკული მეცადინეობის საათების (4 საათი) გაზრდა, რადგან პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის (მიკროსკოპთან მუშაობა) მცირე დროა. ანგარიშით წარმოდგენილ სილაბუსში პრაქტიკული მეცადინეობის საათები გაზრდილია (8 საათი), მაგრამ არ ჩანს რომელი აქტივობის ხარჯზე, საჭიროა ამ ხარვეზის გასწორება. სასწავლო კურსში „დედამიწის ქერქის ქანები“,

²⁵საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁶საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდირებული იყო ლაბორატორიული სამუშაოებისთვის გამოყოფილი საათების გაზრდა, რადგან დედამიწის ამგები ყველა ტიპის ქანის (მაგმური, დანალექი და მეტამორფული) შესწავლისთვის როგორც ვიზუალურად, ასევე მიკროსკოპის გამოყენებით არაა საკმარისი. ანგარიშით წარმოდგენილ სილაბუსში საათების გაიზარდა არა ლაბორატორიული სამუშაოებისთვის, არამედ მხოლოდ საველე პრაქტიკაში (რაც ასევე მითითებული იყო რეკომენდაციებში). საჭიროა გასწორდეს ხარვეზი და საათები გაიზარდოს ლაბორატორიულ სამუშაოებშიც.
რჩევა ²⁷ II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	სასწავლო კურსების სილაბუსები <ul style="list-style-type: none"> • “მინერალოგიისა და გეოქიმიის საფუძვლები” • “დედამიწის ქერქის ქანები“

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია VIII ²⁸	რეკომენდირებულია დამსაქმებლებთან /პარტნიორებთან ისეთი მემორანდუმების/ ხელშეკრულებების გაფორმება/განახლება, რომელიც გაითვალისწინებს პრაქტიკის მიზანს/ებს, პრაქტიკის ხანგძლივობას და სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია ნაწილობრივ. თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მემორანდუმების დანართები, გაფორმებული შპს „გამა კონსალტინგთან“, შპს „დისტანციური ზონდირებისა და გეოგრაფიული სისტემების საკონსულტაციო ცენტრ გეოგრაფიკთან“ და შპს „ტერაგრაფიკთან“, რომელიც ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტების გავლის შესაძლებლობას და მითითებულია სტუდენტთა რაოდენობა. დანართებში არაა მითითებული პრაქტიკის ხანგძლივობა.
რჩევა ²⁹ II	

²⁷საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

²⁸საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	• მემორანდუმების დანართები

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.6 სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია IX ³⁰	სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები უფრო დეტალიზებული და გამჭვირვალე გახდეს;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და სასწავლო კურსების სილაბუსებით („მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის საფუძვლები“, „მინერალოგიისა და გეოქიმიის საფუძვლები“, „დედამიწის ქერქის ქანები“, „ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო-გეოლოგიის საფუძვლები“, „სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიის საფუძვლები“, „ტექტონიკა და სეისმოლოგია“, „დაპროგრამება პითონში“) დასტურდება, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსების სილაბუსებში შესაბამისად კორექტირებულია შეფასების კრიტერიუმები და შეცვლილია ქულების რანჟირება, რაც მოწმობს აღნიშნული რეკომენდაციის უნივერსიტეტის მხრიდან შესრულებას.
რჩევა ³¹ II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	სასწავლო კურსების სილაბუსები („მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის საფუძვლები“, „მინერალოგიისა და გეოქიმიის საფუძვლები“, „დედამიწის ქერქის ქანები“, „ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო-გეოლოგიის საფუძვლები“, „სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიის საფუძვლები“, „ტექტონიკა და სეისმოლოგია“, „დაპროგრამება პითონში“).

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.6 სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია X ³²	სილაბუსებში მკაფიოდ გაიწეროს მიმდინარე შეფასე-

²⁹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

³⁰საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

³¹საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)



	ბის კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია ნაწილობრივ. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და დოკუმენტაციაში თანდართული სასწავლო კურსის სილაბუსებით დასტურდება, რომ მოხდა შეფასების სისტემის გადახედვა და დაზუსტება სწავლის შედეგების გაზომვადობის კუთხით. მაგრამ, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ზოგიერთ სასწავლო კურსებში დასაზუსტებელი იყო თითოეული აქტივობის შეფასების ქულების ხვედრითი წონა. მაგალითად სასწავლო კურსში „გეომორფოლოგიისა და ჰიდროლოგიის საფუძვლები“ პირველ და მეორე შუალედურ შეფასებებს ეთმობა 30 – 30 ქულა, ხოლო დასკვნით გამოცდას კი მხოლოდ 25. აღნიშნული სასწავლო კურსის სილაბუსი დოკუმენტაციაში არაა წარმოდგენილი.
რჩევა ³³ II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	სასწავლო კურსების სილაბუსები („მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის საფუძვლები“; „მინერალოგიისა და გეოქიმიის საფუძვლები“; „დედამიწის ქერქის ქანები“; „ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო-გეოლოგიის საფუძვლები“; „სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიის საფუძვლები“; „ტექტონიკა და სეისმოლოგია“; „დაპროგრამება პითონში“.

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.6 სტუდენტების შეფასება
რეკომენდაცია XI ³⁴	რეკომენდირებულია პროგრამის სილაბუსებში აისახოს რა ვადაში შეუძლია სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლა FX-ის მიღების შემთხვევაში;
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და დოკუმენტაციაში თანდართული სასწავლო კურსების სილაბუსებით დასტურდება, რომ სტუდენტის მიერ FX-ის მიღების შემთხვევაში გაწერილია დამატებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა, რაც გვადლევს სა-

³²საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

³³საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

³⁴საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)



	ფუძველს დავასკვნათ, რომ აღნიშნული რეკომენდაცია უნივერსიტეტის მხრიდან შესრულებულია.
რჩევა ³⁵ II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> სასწავლო კურსების სილაბუსები

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა
კომპონენტის დასახელება	4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
რეკომენდაცია XII ³⁶	რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.
შეფასება	<p>რეკომენდაცია შესრულებულია.</p> <p>თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილ პროგრამის ბიუჯეტში დეტალურადაა ჩამოთვლილი პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადმინისტრირების, გადასახადების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და მოვლა-შენახვის ხარჯები, ასევე საჭირო სასწავლო მასალების, საბიბლიოთეკო რესურსის, სასწავლო პრაქტიკის და პროგრამის განხორციელებისათვის სხვა ხარჯი. იგი საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.</p>
რჩევა ³⁷ II	
შეფასება	
მტკიცებულებ(ებ)ა	<ul style="list-style-type: none"> საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი

თანდართული დოკუმენტაცია³⁸

1. სასწავლო პროგრამის კურსების კატალოგი;
2. საბაკალავრო ნაშრომის კონცეფცია;
3. სემესტრულ სარეკომენდაციო გეგმა;
4. სასწავლო კურსების სილაბუსები („ლიტერატურული მეხსიერება“; „ბავშვთა დაცვის პოლიტიკა“; „გერმანულენოვანი ლიტერატურა“; „აკადემიური მუშაობის ტექნიკები“; „სტრატეგიათა და გეოქრონოლოგიის საფუძვლები“; „დედამიწა-შესავალი გეოლოგიაში I“; „დედამიწა-შესავალი გეოლოგიაში II“; „დედამიწის ქერქის ქანები“; „სტრუქტურული გეოლოგია“; „გარემოს-დაცვითი კვლევები“; „სამიეზო და გამოყენებითი გეოფიზიკის საფუძვლები“; „მეტეოროლოგი-

³⁵საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

³⁶საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

³⁷საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

³⁸თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა



ისა და კლიმატოლოგიის საფუძვლები“; „მინერალოგიისა და გეოქიმიის საფუძვლები“; „ჰიდროგეოლოგიის და საინჟინრო-გეოლოგიის საფუძვლები“; „სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიის საფუძვლები“; „ტექტონიკა და სეისმოლოგია“; „დაპროგრამება პითონში“;

5. მემორანდუმების დანართები;

6. საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი;

7. რეკომენდაციების შესრულების შესახებ უნივერსიტეტის ანგარიში.

ექსპერტის ხელმოწერა